“ქუთაისი-ალპანა-მამისონი” საავტომობილო გზის ნამოხვანი-ალპანის მონაკვეთის მშენებლობისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების (feasibility study) და განსახლების ჩარჩო დოკუმენტის მომზადების კონკურსის მეშვეობით შესყიდვის მიზნით შეკრებილი

საკონკურსო კომისიის
ოქმი #4
დამატებითი დოკუმენტების მოთხოვნა

სხდომა ჩატარდა სს „ნამახვანის“ დირექტორის #ORD-04-1102-1 ბრძანების შესაბამისად “ქუთაისი-ალპანა-მამისონი” საავტომობილო გზის ნამოხვანი-ალპანის მონაკვეთის მშენებლობისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების (feasibility study) და განსახლების ჩარჩო დოკუმენტის მომზადების კონკურსის მეშვეობით შესყიდვის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ, 2015 წლის 6 მარტს 15:00 საათზე, საზოგადოების ოფისში, მისამართზე ნ. ბარათაშვილის #8, თბილისი.

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

გიორგი ჩაჩიბაია (სს „ნამახვანის“ დირექტორი) - კომისიის თავმჯდომარე
აკაკი კეჟერაშვილი (მოწვეული სპეციალისტი, სს „ნამახვანის“ ყოფილი მთავარი ინჟინერი) - კომისიის წევრი
სოფიო მაჩალაძე (სს „ნამახვანის“ უფროსი იურისტი) - კომისიის წევრი

<u>დღის წესრიგი:</u>

“ქუთაისი-ალპანა-მამისონი” საავტომობილო გზის ნამოხვანი-ალპანის მონაკვეთის მშენებლობისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების (feasibility study) და განსახლების ჩარჩო დოკუმენტის მომზადების შესყიდვის #1465 კონკურსში მონაწილე ერთადერთი პრეტენდენტის - შპს კოკს კონსალტი-ს საქართველოს ფილიალი-ს (შემდგომში „პრეტენდენტი“) ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვა და შუალედური შედეგი.

<u>მიმდინარეობა:</u>

საკონკურსო კომისიის წევრმა, სოფიო მაჩალაძემ განაცხადა, რომ კომისიის წევრებმა განიხილეს პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელმაც ცხად ჰყო, რომ პრეტენდენტს აქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება კონკურსის წესით შესასყიდი სამუშაოების ანალოგიური სამუშაოების და სხვა სამშენებლო-საპროექტო დოკუმენტაციის შედგენასა და ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევაში. ამასთან, პრეტენდენტს ჰყავს კვალიფიციური პერსონალი და ფლობს სამუშაოსთვის საჭირო ტექნიკა-დანადგარებს (ქვემოთ მოცემული გამონაკლისების გარდა). დოკუმენტაციის დეტალური შესწავლის შედეგად დადგინდა შემდეგი:

მოთხოვნა	სტატუსი	შენიშვნა
უკანასკნელი 3 წლის მანძილზე (2012-2013-2014 წ.წ.) ანალოგიური სამუშაოების გამოცდილება	+	
მინიმუმ ერთი 80 მილიონი ლარის ღირებულების პროექტი (2012-2013-2014 წ.წ.)	-	წარმოდგენილი ცხრილის 1-ლი პუნქტში მითითებულია სავარაუდო საპროექტო ღირებულება 76,8 მილიონი აშშ დოლარი, თუმცა აღნიშნულ პროექტზე მოწოდებულია მხოლოდ ხელშეკრულება და ვერ დასტურდება პროექტის ღირებულება
აღნიშნულ პროექტში მინ 820 000 ლარის შესრულება	-	არ არის წარმოდგენილი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია
მინიმუმ ერთი ანალოგიური სირთულის დასრულებული პროექტი (2012-2013-2014 წ.წ.)	+	
მანქანა-დანადგარები		პრეტენდენტის ცხრილის მიხედვით: 1. პუნქტი 2- CBR ნაცვლად TRL 2. არ არის მითითებული გეოლოგიური ლაბორატორია (შესაბამისად არც უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციაა სახეზე); 3. არ არის მითითებული მე-5 პუნქტის პროგრამული უზრუნველყოფა (შესაბამისად არც უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციაა სახეზე); 4. ტექნიკაზე პრეტენდენტის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ნაწილობრივ არის წარმოდგენილი. აკლია დოკუმენტაცია შემდეგი ტექნიკისთვის (გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა): • პუნქტი 1-ის პირველი და მეოთხე მოდელი; • პუნქტი 2-ის ტესტების ჩასატარებელი მოწყობილობა TRL; • პუნქტი 3 (თუმცა წარმოდგენილი ტექნიკა არ არის მოთხოვნილი საკონკურსო წინადადებით); • პუნქტი 4; • პუნქტი 5 - წარმოდგენილია მხოლოდ ერთ-ერთ ავტომობილზე - ნისან იქსტერა.
პერსონალი		არ არის წარმოდგენილი გეოდეზისტი
2012-2013-2014 გამოცდილებიდან 80% უშუალოდ პრეტენდენტის	+	
ქვეკონტრაქტორები /ინფორმაცია თუ რას შეასრულებს მოგების შემთხვევაში/ გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია	+	

ყველა დანაჩენი დოკუმენტაცია და ინფორმაცია შეესაბამება საკონკურსო განაცხადის

<u>კომისიამ დაადგინა:</u>

შპს კოკს კონსალტი-ს საქართველოს ფილიალის მოეთხოვოს არაუგვიანეს 2015 წლის11 მარტის 18:00 სთ-სა სატენდერო კომისიას - მისამართზე ნ. ბარათაშვილის #8, სართული 4, წარმოუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

<u>A გამოცდილების ნაწილში:</u>

სულ მცირე 80 მილიონი ლარის ღირებულების ანალოგიური სირთულის, ხასიათის და შინაარსის საპროექტო მომზადების ან ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის მომსახურება. წარმოსადგენია ხელშეკრულება და დოკუმენტი რომელიც ადასტურებს პროექტის ღირებულებას.

ამავე პროექტში განცორციელებული სულ მცირე 820 000 ლარის ღირებულების ანალოგიური სირთულის, ხასიათის და შინაარსის სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

<u>B პერსონალის ნაწილში:</u>

ინფორმაცია გეოდეზისტის შესახებ.

<u>C მოწყობილობა-დანადგარების ნაწილში:</u>

ინფორმაცია შემდეგ მოწყობილობა-დანადგარების შესახებ და მათზე უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია:

- გეოლოგიური ლაბორატორია
- პროგრამული უზრუნველყოფა

უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია შემდეგ დანადგარებზე:

მოცემულია პრეტენდენტის ცხრილის ნუმერაციის მიხედვით

- პუნქტი 1-ის პირველი და მეოთხე მოდელი;
- პუნქტი 2-ის ტესტების ჩასატარებელი მოწყობილობა TRL;
- პუნქტი 4;
- პუნქტი 5 - ში ჩამოთვლილი ავტომობილები გარდა ერთისა - ნისან იქსტერა.

აღნიშნული დოკუმენტაციის მიღების, ან მითითებული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, არაუგვიანეს მომდევნო 2 სამუშაო დღისა, კომისია ქულების მინიჭების გზით, საკონკურსო განაცხადის შესაბამისად, შეაფასებს პრეტენდენტის ტექნიკურ დოკუმენტაციას.

გიორგი ჩაჩიბაია	სოფიო მაჩალაძე	აკაკი კეჟერაშვილი